3

მესამეკლასელთათვის

სულაკაურის
გამომცემლობა

ნინო გორდელაძე • თინათინ კუხიანიძე

ქართული ენა

გრამატიკა და მართლწერა

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სარჩევი

ქართული ანბანი და ასოთა სახელები 4
ასო და ბგერა 5
სიტყვა და წინადადება 6
სიტყვის მარცვალი 8
სიტყვის გადატანა 9
ზმნა და არსებითი სახელი 10
სულიერი და უსულო არსებითი სახელები 12
ვინ? თუ რა? 14
მხოლობითი და მრავლობითი 16
გასულიერება 18
არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი 20
არსებითი სახელის ბრუნება 22
არსებითი სახელის კუმშვა 24
არსებითი სახელის კვეცა 26
ბევრი თუ ცოტა? 28
ერთმანეთის მონაცვლე ზმნები 30
ზედსართავი სახელი 32
ნაცვალსახელი 34
ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში 36
ზმნა და დრო 38
მომავალი დრო 40
თავაზიანი საუბარი 42
პირველი პირი და მეორე პირი (მე და შენ) 44
ზმნა და ასო „ჰ“ 45
თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები 46
ჩამოთვლა 47
წერტილი, ორწერტილი, სამი წერტილი 48
სახელით მიმართვა 49
ბრჭყალები 51

ქართული ანბანი და ასოთა სახელები

ა ანი
ბ ბანი
გ განი
დ დონი
ე ენი
ვ ვინი
ზ ზენი
თ თანი
ი ინი
კ კანი
ლ ლასი
მ მანი
ნ ნარი
ო ონი
პ პარი
ჟ ჟანი
რ რაე
ს სანი
ტ ტარი
უ უნი
ფ ფარი
ქ ქანი
ღ ღანი
ყ ყარი
შ შინი
ჩ ჩინი
ც ცანი
ძ ძილი
წ წილი
ჭ ჭარი
ხ ხანი
ჯ ჯანი
ჰ ჰაე

სავარჯიშოები

- სულ რამდენი ასოა ჩვენს ანბანში? _____
- ლასი მერამდენეა ქართულ ანბანში? მე- _____
- ჩაწერე ქართული ანბანის მეოთხე ასოს სახელი _____
- რა ეწოდება ჩვენი ანბანის უკანასკნელ ასოს? _____
- რომელი ასოს სახელი ჰქვია ადამიანსაც? _____

ასო და ბგერა

ასოს ვწერთ და ვხედავთ.

ბგერას წარმოვთქვამთ და გავიგონებთ.

გაიხსენე: ბგერა ორგვარია: **ხმოვანი** და **თანხმოვანი.**

ქართულ ენაში ხუთი **ხმოვანია:**

ა, ე, ი, ო, უ

ყველა სხვა ბგერას კი **თანხმოვანი** ჰქვია.

ხმოვანი სიტყვას აჟღერებს, ახმოვანებს.

დააკვირდი: ფ●ნჯ● – ფუნჯი
●ლბ●მ● – ალბომი
მხ●ტვ●რ● – მხატვარი

სავარჯიშოები

1. **ჩაწერე გამოტოვებული ხმოვნები:**

უფლ_სწული	გმ_რი	კარისკ_ცი
მზეთ_ნახავი	დედ_ფალი	ჭად_ქარი
ხ_ლმწიფე	ფერი_	სახელმწიფ_

2. **გამოიცანი და ჩაწერე გამოტოვებული თანხმოვნები:**

ა. სა_ლის პატ_ონმა აიღო დოქი_ ღვინო და გა_ეთ გამოსწია.

ბ. ხე_ხი სჭო_ია ღო_ესა, თუ კა_ი მოი_ონებსა.

სიტყვა და წინადადება

სიტყვებია:

მინდორი, ფერადი, ყვავილები, ამოსვლა.

წინადადებაა:

მინდორში ფერადი ყვავილები ამოვიდა.

ჩამოთვლილი სიტყვები ერთმანეთს დაუკავშირდა და წინადადება შეიქმნა. სიტყვებით რომ აზრი გადმოვცეთ, წინადადებას ვადგენთ.

ერთ პატარა ამბავს ორი წინადადებით მოგითხრობ:

ზაზა თავისი მეგობრის დაბადების დღეზე წავიდა.

მან საჩუქრად ალბომი შეარჩია.



დაიმახსოვრე: თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი უნდა დასვა!

სავარჯიშოები

1. მონიშნე მხოლოდ წინადადებები:

სულ 4

- [ ] დიდ მინდორში კურდღელი და კუ შეხვდნენ ერთმანეთს.
- [ ] გლეხებს ქალაქში ხილი მიჰქონდათ გასაყიდად.
- [ ] წავიდნენ სამივენი სანადიროდ.
- [ ] თამაში, კარგი მეგობარი, მოსვლა.
- [ ] დათვი, მელა და მგელი, მეგობრობა.
- [ ] ეზოში დიასახლისი სეირნობდა პატარა გოგონასთან ერთად.
- [ ] ყურადღება და პატივისცემა.

2. **სიტყვები ისე დაალაგე, რომ წინადადება გამოვიდეს:**

- შეედრება, ტყეს, ზაფხულობით, არაფერი.

- ჩიტები, და, მავნებელ, ჭიებსა, მატლებს, ჭამენ.

---

3. **შეადგინე წინადადება, რომელშიც ექვსი სიტყვა იქნება:**

---

4. **მოცემულ ტექსტში სამი წინადადების ბოლოს წერტილი არ არის დასმული. მოძებნე ასეთი ადგილები და დასვი წერტილი:**

გლეხებს სოფლიდან ქალაქში ხილი მიჰქონდათ გასაყიდად გზაზე ერთი დიდებულის ეზოში უცნაური ფრინველი დაინახეს. მისი მსგავსი ჯერ მათ თვალებს არაფერი ენახა ეს ფრინველი ფარშავანგი იყო ფარშავანგი ხან ბავშვივით გაჰკიოდა, ხან თავის ბოლოს მარაოსავით გაშლიდა, მაღლა ასწევდა და მზის სხივებზე ნაირფერად აჭრელდებოდა.

5. **აღწერე დღევანდელი ამინდი რამდენიმე წინადადებით:**

რამდენი წინადადება გამოიყენე? ☐

სიტყვის მარცვალი

სიტყვაში რამდენი ხმოვანიცაა, იმდენივე მარცვალია. დააკვირდი დამარცვლილ სიტ-ყვებს.

დააკვირდი:

მამალი მა – მა – ლი

ყივილი ყი – ვი – ლი

ნისკარტი ნის – კარ – ტი

როგორ უნდა დავმარცვლოთ სიტყვა, თუ მასში თანხმოვნები ერთმანეთის გვერდითაა?

როცა სიტყვაში თანხმოვნები გვერდი-გვერდაა, პირველი თანხმოვანი წინა მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენი – მომდევნოს.

სიტყვის სწორად დამარცვლა დაგეხმარება სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის სწორად გადატანაში.

სავარჯიშოები

1. **სწორად დამარცვლე სიტყვები. ჩაწერე, რამდენი მარცვალია თითოეულში:**

მსხალი, ჩანთა, რვეული, მეგობარი, მასწავლებელი, მშობელი, ქალ-ღმერთი, განათლებული

_____ ☐ _____ ☐

_____ ☐ _____ ☐

_____ ☐ _____ ☐

_____ ☐ _____ ☐

სიტყვის გადატანა

ზოგჯერ სიტყვას სტრიქონის ბოლოს ადგილი აღარ ჰყოფნის. ამ დროს დამარცვლის წესს ვიყენებთ და სიტყვის ნაწილი ახალ ხაზზე გადაგვაქვს. ამაში კი გადატანის ნიშანი გვეხმარება:





ლექსი რომ მოთხრობას არ დაემსგავსოს, გადატანის სხვა წესს იცავენ. ლექსის სტრიქონს გადატანილი ნაწილი მარჯვნივ უნდა მიეწეროს.



დაიმახსოვრე: ერთი ასოს დატოვება ან გადატანა მიუღებელია.

სავარჯიშოები

1. **რომელიმე მოთხრობიდან გადმოიწერე პირველი აბზაცი.**

სიტყვები სწორად გადაიტანე? შეამოწმე შენი მეგობრის ნამუშევარიც.

ზმნა და არსებითი სახელი

ზოგი სიტყვა მოქმედებას გამოხატავს. სიტყვებს, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს, ზმნა ეწოდება.

ყურადღებით წაიკითხე ეს პატარა ამბავი:

სოროდან გამოცუნცულდა პატარა წრუწუნა. ეზოში გაძვრა-გამოძვრა, მაგრამ ცოტა ხანში გულგახეთქილი ისევ სოროში შევარდა.

როგორ ფიქრობ, ამ წინადადებებს რომ ზმნები ამოვაკლოთ, რა მოხდება? ამბავს გავიგებთ?

დააკვირდი:

სოროდან _____ პატარა წრუწუნა. ეზოში _____,
მაგრამ ცოტა ხანში გულგახეთქილი ისევ სოროში _____.

სორო, წრუწუნა და ეზო არსებითი სახელებია.
ზმნა არსებითი სახელის მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს.

სავარჯიშოები

1. **იპოვე ზმნები ნაწყვეტებში და ქვეშ ხაზი გაუსვი. დაიხმარე შეკითხვა „რა ქნა?“**

„გორაკისკენ მიმავალმა ჩვენმა კურდღელმა ახლა ბუჩქი დაინახა. წამოგორდა ბუჩქის ქვეშ და დაღლილს მალე ჩაეძინა.“ სულ 3

„ხელმწიფე სანატრელი ვაჟიშვილის შეძენამ გაახარა. მეფის ბრძენმა ვეზირმა დალოცა უფლისწული და ჭიანჭველას ძალა უსურვა.“ სულ 3

2. იპოვე სამი არსებითი სახელი და გაუსვი ქვეშ ხაზი (დაიხმარე კითხვები: ვინ? რა?).

„ჭრიჭინა ზამთრობით მინდორში ველარ ბინადრობს, მხოლოდ სახლებში შეუძლია ცხოვრება. ფქვილი და პურის ნამცეცები მისი საზრდოა. დიასახლისი ხშირად ბუხრის გვერდით იპოვის ხოლმე ამ მწერის ბინას.“

3. სიტყვები გაანაწილე ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

- მოვიდა, გუგული, დაჭდა, დგას, ცხოველი, ამოვარდა, ქარი, სტუმარი

არსებითი სახელი	ზმნა

4. ცალ-ცალკე ჩამოწერე ოთხი ზმნა და ოთხი არსებითი სახელი: კაკაბი, ფრინველი, კაკანებს, დაფრინავს, ბუდე, ბუდობს, უთვალთვალებს, თვალი.

ზმნები:

_____

_____

_____

_____

არსებითი სახელები:

_____

_____

_____

_____

სულიერი და უსულო არსებითი სახელები

ბიჭმა ქვა ისროლა.

გოგონამ გვირილა მოწყვიტა.

ბიჭი და **გოგონა** სულიერი არსებითი სახელებია.
მათ მოქმედება შეუძლიათ!

ქვა და **გვირილა** უსულო არსებითი სახელებია.
მათ თავისით მოქმედება არ შეუძლიათ!

სავარჯიშოები

1. **ქვემოთ მოცემულ არსებით სახელებს მიუწერე, სულიერია თუ უსულო:**

- ხომალდი _____
- კუნძული _____
- კაპიტანი _____
- მეკობრე _____
- თუთიყუში _____
- დედოფალი _____
- ფარაონი _____
- სასახლე _____

2. ამოიწერე ნაწყვეტიდან 6 უსულო არსებითი სახელი:

„ძალიან დიდი ხნის წინათ სპილოებს ხორთუმი არ გააჩნდათ; მათ მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი, ოდნავ ამობურცული ცხვირი ჰქონდათ...

... ეს პატარა სპილო მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო; ყველაფერი აინტერესებდა: რატომ აქვს ბიძია ჟირაფს ლაქებიანი ტყავი? ან რატომ ეზრდება დეიდა სირაქლემას კუდზე ბუმბული სწორედ ამნაირად? ან კიდევ: რატომ აქვს დეიდა ჰიპოპოტამს წითელი თვალები?..

რა? (პირველი ასოები უკვე ჩაწერილია):

ხ_____ კ_____

ც_____ ბ_____

ტ_____ თ_____

3. ხაზი გაუსვი სულიერ არსებით სახელებს:

„... ერთიც ვნახოთ, მოფრინდა კაჭკაჭი, დააჭდა ვირს ზედ ზურგზე და კორტნა დაუწყო. რადგან ვირი დაბმული იყო, ველარ გაექცა მავნებელ ფრინველს და მის მოსაგერიებლად ტლინკების აყრა დაიწყო. რამდენჯერაც ვირი ტლინკებს აყრიდა, იმდენჯერ კაცი სიცილით კვდებოდა.

თურმე ტყიდან ერთი მგელი უყურებდა ამ სანახაობას...“

4. აღწერე საკლასო ოთახი ისე, რომ სამი სულიერი სახელი გამოიყენო:

_____

_____

_____

_____